ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3587490

ნომერი: AR1544457

თარიღი : 26.09.2017

გაცემის თარიღი : 04.10.2017

გაცნობის თარიღი : 04.10.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბამბის რიგი , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალისა კირეულიშვილი პ/ნ 01011028557
- თბილისი საქიმოს გას. N 4 ბ. 28

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 26 სექტემბრის №AR1544457 განცხადება, ამავე სამსახურის 2017 წლის 19 სექტემბრის №3548865 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა 2017 წლის 19 სექტემბრის №3548865 გადაწყვეტილებით გამოსცა პირობადებული აქტი, რომლის მიხედვითაც სამსახური გასცა ნებართვა ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ბამბის რიგი 12-ის მიმდებარედ, დროებითი სტატუსის მქონე საზაფხულო კაფეს მოწყობის მიზნით, განცხადებელს ამავე გადწყვეტილებით დაევალა ორი თვის განმავლობაში წარმოადგინოს თვითმმართველი ერთეულის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა ან იჯარის წესით მიწის აღების დამადასტურებელი დოკუმენტი.
ირკვევა, რომ 2017 წლის 19 სექტემბრის №AR1536765 განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულების მიხედვით, საიჯარო ფართი შეადგენს 8კვ.მ-ს, ხოლო ამავე განცხადებით წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით ღია სეზონური საზაფხულო კაფის განთავსება ხდება 8 კვ.მ-ზე მეტ ტერიტორიაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა ორი თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს თვითმმართველი ერთეულის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა ან იჯარის წესით მიწის აღების დამადასტურებელი დოკუმენტი, სადაც მითითებული იქნა ის ფართი, რა ფართზეც უნდა განთავსდეს ღია სეზონური საზაფხულო კაფე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენ მიერ განცხადებაში დასმული საკითხი არ წარმოადგენს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივ აქტში. შესაბამისად, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა სამსახურის 2017 წლის 19 სექტემბრის №3548865 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორებასთან დაკავშირებით.
აქვე განგიმარტავთ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.